


კრედიტისა: სოლოლაკზე, ბლის ქუჩაზე, მელიქიშვილის სახლში, № 43 **კანტორა კრედიტისა:** მელიქიშვილის სტამბაში, ბანოვის ქუჩაზე.

ხელის-მოწერა: მიიღება კანტორაში. ბარეზე მცხოვრებთათვის: ВЪ Типографіи. Въ редакціи газ. „Дროба“.

გაზეთის უასი: მთელის წლია—8 მან., ნახევარ წლია—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

სოციალური დროება



ცალკე ნომერი ღირს უაშრათ

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

უასი განცხადებასა: დიდ ასო-ებით ასოზე—2 კაპ., ასო-თავითადად სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

კრედიტისა უზღუბად აქვს გაას-წოროს და შეამოკლოს დასაბუქდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბუქდელი სტატია ვეტორს არ დაუბრუნდება.

სამი თვის ხელის-მოწერა

„დროებაზე“

1 ნომერი 1 მან. და 1877 და მთლიანად

მიიღება თფილისში, „დროების“ რედაქციაში (ბანოვის ქუჩაზე, სტ. მელიქიშვილის სტამბაში). სხვა ქალაქებში „დროების“ აგენტებთან.

უასი სამი თვის გაზეთისა—3 მან.

მალაქს გარეზე მცხოვრებთა ვაზეთი ამ აღრესით უნდა დაიბარონ: ВЪ Типографіи. Въ редакціи газеты „Дროба“.

ცალკე ნომერი

„დროებისა“

თფილისის გარდა შემდეგ ქალაქებში ის-ყიდება:

ბორჯომი—რკინის გზის სტანციის ბუ-ჭეტში.

მუთისში: სვიმონ ჩომახიძესთან, ტბორჯორაში, ბულვართან,

ბაქათუბანში—სტანციის ბუჭეტში,

ხაშურში (მიხაილოვში)—სტანციის ბუჭეტში,

ახალციხისა—უფ. ალ. ვარძელაძის ალაზიაში.

ტელეგრაფები

ბრძოლის ველიდან

მენა, 11 ოქტომბერს. („ბოლოსის“ დამე-შა). სრულიად უსაფუძვლოა ხმები, ეი-თომც მსმალეთის მთავრობას აესტრი-ისათვის მორიგების თაობაზე შუამდგომ-ლობა ეთხოვოს. აესტრიის უცხო ქვე-ყნის საქმეთა სამინისტრომ გამოაცხადა, რომ აესტრიას არავითარი ამგვარი თხო-ვნა არ მოსვლია მსმალეთისაგან და კიდევ რომ მოსვლოდა, სხვა-და-სხვა მიზეზის გამო, ვერ იკისრებდა შუამდგომ-ლობას.

აქ დარწმუნებული არიან, რომ რო-გორც მცირე ასიაში, ისე ბოლგარიაშიაც გაიმარჯვებს რუსეთი. ვაზეთი „Neue Freie Presse“ ამბობს, რომ მსმალოს

არმიას არ შეუძლიან ერთხელვე და-ჭერილი ალაგები წაართვას რუსებს, რა-დგან ამათ ერთი, რომ დიდ-ძალი ახალი ჯარები მოუყვიათ და მეორედ, რომ, ცუდი ამინდების გამო, ჯარებს მოძრა-ობა უძნელდებათ.

რუსის აზრები

აზიის ბრძოლის ველიდან

ალექსანდრპოლი, 9 დეკემბრისთვის. („დროების“ კორესპონდენცია). თითქმის სწო-რეთ აღსრულდნენ ჩემი სიტყვები („დრო-ების“ № 147), რომ ალექსანდრპოლ-ის მცხოვრებნი, შემდეგ დიდის შიშის გამოვლისა, უცბათ დამშვიდდნენ და დი-დის იმედით და მოუთმენლობით მოე-ლოდნენ მტრის დამარცხებასა, რადგა-ნაც, სხვათა შორის, ესმოდათ, რომ მუხ-თარ-ფაშას სამ-კუთხივ დადგმული აქვს რუსებისგან ცეცხლის მახეობა.

როგორც მოგესხენებათ, საქმე დაიწ-ყო 20-ს და 21-ს ენკენისთვისას, შიხილ-თაფსთან; მასუკან ჩვენები, შეუდგნენ თავიანთ განზრახვის აღსრულებაში მო-ყვანასა.

26-ს ენკენისთვისას ჯერ დილით წა-იღეს ჩვენებმა აქაურ პარკიდგან ოთხი 24 გირვანქიანი სპილენძის ზარბაზნები თავის ავეჯულობით და ყუშმარ-წამლე-ბით ში-თაფზე; მერმე საღამოთი წაი-იღეს პარაიალზე კიდევ ოთხი ახლად-ახალი წინა დლით მოტანილი პეტერ-ბურლიდამ 24 გირვანქიანი ფოლადისა და შორ მანძილზე მსროლელი ზარბა-ზნები (7 ვერსზე); მეორე დღეს, 27-ს, წაიღეს კიდევ პარაიალისაკენ ერთიც ამ ბოლოს მოხსენებულ ზარბაზნებთან, რომელსაც სცდიდნენ ორ დღის განმე-ვლობაში წაღების წინათ.

და აი, ახლა მუხთარ-ფაშამ ყნოსვით იგონო ამ მის დასასჯელად გაგზავნილ მადნეულ „ოშთაყირების“ მოახლოვე-ბა და უფეროდ დაიწია შიხილ-თაფი-დან თავის არმიით 27-ს ენკენისთვისას და დიდს გაჭირვებით და ზიანით, რო-გორც იყო, თავს უშველა; ავიდა და და-

იბანაკა ერთის ნაწილით ალაჯაზედ და მეორე უმთავრესი ნაწილით—აელიარ-ზედ. სუბოტანი, შიხინქოვი და პატარა იაღნი ხომ მანამდინ მათ ხელში იყო.

შემოხსენებულ ზარბაზნებმა მოუტა-ნეს ჩვენებს ამ შემთხვევაში არა-მცირე სარგებლობა: ამ 27-ს ენკენისთვისას, როდესაც ჩვენებმა შენიშნეს შიხილ-თაფზე მოძრაობა და აღიპოთი მსმა-ლოს ჯარისა, მაშინვე დაუწყეს ში-თა-ფი დგან გამგზავრება მათი ელვა-ქე-ქით და მეგებით სპილენძის ზემოხსენე-ბულ ზარბაზნებიდან.

ამ დღეს, შუადღის უკან, მქონდა შემთხვევა მეზავრობისა ში-თა-ფის ა-კენ. საღამოს, როდესაც ეუახლოვედ-ბოდი სოფ. შირვალს, ჩემი მოგზა-ურე მეურმეები მოუთმენლად მრავალ-ჯერ ეკითხებოდნენ ვხიოთ მომავალ შე-ურმეებსვე შესახებ ზარბაზნების სრო-ლისა; ესენი სიხარულით უპასუხებდნენ, რომ „შიხილ-თაფიდან ჩვენებმა გააქ-ციეს მუხთარიო!“ ამ გვარი პასუხი გვე-სმოდა ამ მომავალ მეურმეებისაგან.

ბარგად დაბინდდა; ამ დამეს გაეჩერ-დით შირვალში, სადაც ვაწუყვეტილივ, თითქმის გათენებამდი, მოლოდა ქუხი-ლი ჩვენი ზარბაზნებისა. შედეგად ამ დამით სროლისა ჩვენის მხრივ აღმოსწინ და წასვლა ამ შიხილ-თაფი დგან მსმალოს ჯარისა, თუმცა რუსების მო-სატყუებლად მათ განაჩადეს ამ მთაზე აქა-იქ მამხალეები და კვაკოკოანები, რა არის, ვითომც თუ ისე იქ არხენინათ ატარებენ დამესა!

მეორე დღეს, 28-ს, რუსებმა დაიჭი-რეს შიხილ-თაფი და დიდი იაღნი.

29-ს და 30 განდევნეს ოსმალოები და დაიჭირეს ძველი მათი პოზიციები: სუბოტანი და ჰაჯი-მალი.

1-ს დეკემბრისთვისას ჩვენები მოემზა-დნენ ყოვლის მხრით დიდ შეტაკებისა-თვის; მეორე დღეს 2-ს ამაღეს ან გვარი შეტაკება.

დ. ზ.—ქე

(დასასრული შემდეგ მს-ში)

მუხთარ-ფაშის დამარცხების თაობაზე, გაზეთი „Голосъ“ ამბობს:

„ახალია—რა მნიშვნელობაცა აქვს ჩვენთვის ამ დამარცხებას: პირველად, რომ ჩვენი სამხედროები მტრის შემოსევისაგან დაცულია და ჩვენს ჯარებს ამ ზამთარში მუდამ ომისათვის მზათ ყოფნა აღარ დასჭირდება; მეორედ ის, რომ, თუ მართალია, რომ შარსიდან ალაჯიზე მოტანილი ზარბაზნები ჩვენ ჩაკვივარდა ხელში, მაშინ უეჭველია, რომ შარსის აღება ჩვენ აღარ გავგიძნელებდებოდა; მესამედ, მუხთარ-ფაშის დამარცხების შემდეგ, თვითონ ძავეკასიაც დამშვიდდება, რადგან იქაურ მთიულებს ოსმალთს ჯარის ძავეკასიაში შემოსვლისა და იმათ დახმარების იმედი დაეკარგებათ.

„რალა თქმა უნდა, რომ ახლა იზმაილ-ფაშაც დაიწევს უკან და უწინდლურად აღარ შეაწუხებს იგდირში და შულფში დაბანაკებულ ჩვენს მრევნის ატრიალს. საფიქრებელია, რომ ოსმალოები ახლა, რაც ჯარი და ძალა ჰყავთ, ყველას სოღანლოლისა და ღრამდალის მთებისაკენ მოაგროვებენ იმ განზრახვით, რომ არზრუმისაკენ არ მოუშვან ჩვენები.“

მენის გაზეთს „Fremdenblatt“-ში დაბეჭდილია 28 ენკენისთვის სტამბოლიდამ მიღებული შემდეგი ცნობა:

„მუხთარ-ფაშის განკარგულებით თითქმის ყველა მცხოვრებლები შარსისა არზრუმს და ტრაპიზონში არიან გადასახლებულნი. ამბობენ, რომ მუხთარ-ფაშას განზრახვა აქვს, რაც მცირე აზიაში ჯარები არის ოსმალებისა სუყველა შარსში დააყენოს საზამთროთაო.“

მცირე აზიის რუსის ჯარის შესახებ „ჰავასის სააგენტოში“ შემდეგ ცნობებს იწერებინ 27 ენკენისთვის არზრუმშიდამ:

„შმათერესი ძალა (ცენტრი) რუსის მომქმედ არმიისა შესდგება: 54 ბატალიონის ქვევითა ჯარისაგან, 16 მინდურის ბატარეისაგან (ბატარეიაში 8 ზარბაზანი ითვლება) და 11 ცხენოსანი პოლკისაგან.

„ტერ-ლუკასოვის (მრევნის) კორპუსი (იგდირში და შულფში) შესდგება: 14 ბატალიონის ქვევითა ჯარისაგან, 4 ბატარეისაგან და 5 პოლკის ცხენოსანი ჯარისაგან.

„არტაანში და იმის ახლო-მახლო ალაგებში დგას: 16 ბატალიონი, 4 ბატარეია და 2 პოლკი ცხენოსანი ჯარი.“

ვეროპის ბრძოლის ველიდამ

არავითარი ახალი ამბავი, გარდა იმისა, რომ პლენენოსთან ისევ წაართვეს ოსმალოებმა რუმინებს წინა დღეს აღებული რედუტი, ვეროპის ბრძოლის ველიდამ არ მოსულა ამ უკანასკნელს დღეებში.

რუსულს გაზეთებში, სხვათა შორის „Голосъ“-ში, იწერებინ, რომ ოსმალოები ახლა, როდესაც მცირე აზიაში მუხთარ-ფაშის დამარცხებას გაიგებენ, უეჭველია, ვცდებიანო, რომ ვეროპის ბრძოლის ველზე მაინც გაიმარჯვონო.

ამის გამო საფიქრებელიაო, რომ ამ მოკლე ხანში სულეიმან-ფაშა, რომლის ენერგიული ხასიათი შიპკოსთან ბრძოლის დროს აღმოჩნდა, და რომელიც მემკვიდრის პირ-და პირ აგროვებს ჯარს, აუტეხს ამ უკანასკნელს ბრძოლასაო; მაგრამ იმედი გვაქვსო, რომ როგორც მცირე აზიაში, ისე აქაც ჩვენი მხნე ჯარი გაიმარჯვებსო.

მენის გაზეთის „Presse“-ის სიტყვით, ბოლოგარიაში მომქმედ რუს-რუმინების ჯარი სულ 240,000 კაცად შემცირდა და 100,000 კაცამდინ მემკვიდრეს ჰყავს (რუსიუკის ატრიალი), დანარჩენი მომეტებული ნაწილი პლენენოსთან არის დაყენებული და სხვები შიპკოსთან, ლოვჩაში და აქა-იქ გაფანტულნი.

ამაში არ არის მოყვანილი 40,000 კაცი, რომელიც დენ. ტიმერმანსა ჰყავს ლობრუჯუში.

გაზეთის „Вѣстникъ Народной Помощи“-ის ოფიციალურის ანგარიშით, ენკენისთვის 22-დამ ამ თვისვე 29-მდინ ვეროპისა და აზიის ბრძოლის ველებზე ჩვენის მხრით სულ 6,594 დახოცილა და დაჭრილა; ეს რომ აღრე დაჭრილ და დახოცილებს მოუმატოთ, სულ გამოვაო, რომ ამ ომში ოფიციალურის სიით 59,434 კაცი დაგვაკლდაო.

სერბიისაგან ამ რუს-ოსმალოს ბრძოლაში მონაწილეობის მიღების თაობაზე მენის „Politische Correspondenz“-ში იწერებინ:

„თუ, როგორც ნამდვილად ამბობენ, სერბია დაეხმარა ამ ომში რუსეთს, იმ პირობის ძალით, რომელიც ამ ორ სახელმწიფოს შუა არის შეკრული, სერბია ვალდებულია, რომ ყველაფერში, რაც შეეხება ომის საქმეს, რუსის სამხედრო მთავრობას დაემორჩილოს და ისე იმოქმედოს ამ ბრძოლის დროს, როგორც რუსის მთავარ კვარტირილდამ შეატყობინებენ.

„რუსეთმა, თავის მხრით, აღუთქვა სერბიას, რომ, სანამ ბრძოლა არ გათავდება, თვეში თითო მილიონს მანეთს სამხედრო ხარჯს მისცემს იმასა.“

ფელტონი

აპალონ მარკოვიჩი

მოთხრობა არდვისა

აპალონ მარკოვიჩმა ამოიღო ჯიბიდან ძველი ბოლჩა და დაუწყაო შლა დაგლეჯილ ქაღალდებს. მე დავინახე მწკნირი მღელვარე დაწული შავი თბა, ორი თუ სამი სურათი, ალისფერი ლენტის ნაგლეჯი და დამტკნარი ვარდი.

— მს ყველაფერი მისი ნივთებია, ბუტბუტებდა ის შემოლილსავით. სახსოვრათ დავიტოვე... აი მისი ბარათიც. აღრინდელი წერილები, ისე გავვანჩხლდი, რომ სულ დაეწვი, ეს კი შავინახე, და სულ თან ვატარებდი, რომ გავხსენებია თუ როგორ გამაჩერებეს კიდევ მეორეთ; მაგრამ ვერაფრათ მომეხმარა!...

მწარის სიცილით დაუმატა მან და გადმომატა ბარათი.

„მამიტვეთ და დამივიწყეთ, წავიკითხე მე. ჩვენ არა ვართ ერთმანეთისათვის გაჩენილნი. ბიბრუნებთ თქვენს სიტყვას უკანვე. მე თითონ ვგრძნობ, რომ სიღარიბე აუტანელია ჩემთვის, და დაუფარავათ გეტყვით, იმდენათაც არ მიყვარხართ, რომ ნაკლულოვანება მოვიტმინო. ამის შემდეგ უკეთესია ჩვენ არ შევხედეთ ერთმანეთს არასოდეს. მე მივეყვარ ხარიტონოვის ცოლს თავის შვილებულათ. მან იცის ყველაფერი და მოსწონს ჩემი ამ გვარი მოქმედება.“

მე გამაკვირვა ლიუბას ბეჯითმა და ლამაზმა ნაწერმა, მაგრამ უფრო გამაკვირვა თუ როგორ მოხერხებულათ იყო დაწერილი უკანასკნელი ფრაზა: ლიუბა ხმარობდა ფარად ბიცოლა ჩემს, რომ გავთავისუფლებია თავი საქმროსაგან... ბიცოლა ჩემი არასოდეს არ მიახწევინებდა იქამდინ, რომ მისი მშვენიერი გაზ-

დილი გაჰყოლოდა ვილაც უმსგავსო მასწავლებელს...

აპალონ მარკოვიჩი გაშტერებული მომჩერებოდა.

— რატომ არ იცინით, მოწყალეო ხელმწიფე? მკითხა იმან. ხომ სასაცილო ოინია? მე თვითონ ისეთ რიგათ ვიცინოდი, როცა მივიღე ეს ბარათი და გამოგზავნილები, რომ ცრემლები მცვიოდა.

მაგრამ, როცა ჩავფიქრდი და ვიგემე მისი სიტკბოება, მაშინ კი ჩავიცივი საუკეთესო ფრაკი, დავიჭირე კარეტა და გავემგზავრე ხარიტონოვის ცოლთან. რომ ფრაკი და კარეტა არა, რასაკვირველია, წინა ოთახშიაც კი არავინ შემიშვებდა თქვენ მაღალ ხარისხოვან ბიცოლასთან. ამგვარად ჩაცმული კი მოსამსახურემ მიმიღო ქაღალბატონის ნაცნობად და წავიდა მოსახსენებლათ. მე ვავსდიე მას ახლოს და როდესაც ასწია ფარდა და მო-

საქართველო

დღიური

* * * უკანასკნელს თავის სხდომაზე ჩვენს ქალაქის რჩევას, ომში მყოფთ ღარიბ ოჯახების შესახებ, გადაუწყვეტია: იმ შემთხვევაში, რომელთაც მართო ერთი სული (ცოლი) დარჩენილთა ქალაქში, მიეცეს ქალაქის ხაზინიდან თვეში სამი მანეთი სახლის ქირად, სანამ ომი არ გათავდება; იმათ, რომელთაც ორი შვილი ჰყავთ—თვეში 4 მან. და 50 კაპ.; და რომელთაც ორზე მეტი—იმათ კი 6 მან. თვეში.

* * * ბუშინ ჩვენს ქალაქში მოიყვანეს შარსთან უკანასკნელს ბრძოლის დროს დაჭერილი ფაშები; ამათთვის „ლონდონის“ სასტუმროში ოთახები იყო დამზადებული; ამბობენ, დღეში თითო ფაშას 8 მანეთი აქვს ხარჯის ფულად დანიშნული.

* * * ჩვენ მივიღეთ ამ დღეებში შემდეგი შენიშვნა ერთი ოფიცისგან:

„უფ. რედაქტორო! ის „მუნთუანთ დარბაზი“, რომელზედაც ერთხელ თქვენ გაზეთში იყო დაბეჭდილი რამდენიმე სიტყვა, ესლა ის დარბაზი ურიებს უყიდნიათ თავიანთ თორისათვის და გადუკეთებიათ კიდევ თორათ.

„ძალიან კარგი იქნებოდა, რომ ვისიც ვალია ამ ძველ შენს ყურადღება მიექციონ და ურიებსა სთხოვან, რომ ამ დარბაზში შიგ არაფერი დაექციონ, რადგანაც ჩვენთვის ეს ძველი და ახლა უპატრონოთა და ოხრათ დატოვებული დარბაზი ღირს-სახსროვარს ძველს შეადგენს.

ახსენა: „პალონ მარკოვიჩი კუპენკო!“ კიდევაც შევედი სასტუმროში...

ხარტონოვის მეუღლე იჯდა სავარძელში: მის ფეხებთან დაბალ სკამზე იჯდა ჩემი დანიშნული და უკითხავდა მას ხმა-მალა. ჩემს შესვლაზე ორნივე წამოიწიენ. სანამ დაბნეული ბიცოლა თქვენი ეძებდა სათვალეს, მე გაბედვით, პირდაპირის ნაბიჯით მივედი ლიუბასთან და დაუდექი წინ. ის შეკრთა, აღისფერმა სიწითლემ დაფარა მისი ლოყები და ვერ აეწია თავი, რომ შემოეხედნა ჩემთვის.

— ლიუბა ალექსანდროვნა! უთხარი მე, რატომ არ წარუდგენთ თქვენს საქმოს თქვენს დრდებულსა და კეთილის მზრუნველს? მე მგონია, დრო არის განვაცხადოთ ჩვენი ქორწინება. მაგრამ იქნება გეშინიანთ, რომ თქვენი კეთილის-მზრუნველი უარს გეტყვისთ დალოცვაზე?

მე თვალს არ ვაშორებდი; ის უფრო და უფრო ხრიდა თავს ძირს.

„ამ დარბაზში წარსულ საუკუნის დამლევს ერთი ბატონიშვილი მდგარა (მგონი, იულიონ ბატონიშვილი) და შემდეგ რალაც შემთხვევით გამხდარა უპატრონოთა და სხვებს ჩაეარდნიათ ხელში.

„დარბაზი დღემდის სუთად და მშვენიერად შენახულა. მარჯვენა მხარს კედლისაკენ ისეთი სენაკებია დატანებული ორ რთულათ, რომ სწორით საკვირველიც არის და სასიამოვნოც მისი ნახვა.

„იმედი გვექნება, რომ ყურადღებას მიაქცევენ და დაიცავენ დაქცევისგან, თორემ, როგორც შევტყუთ, ურიებს გადაკეთება უნდათო.“

* * * ახლად დატუსაღებულს ოსმალოს ჯარის თაობაზე, „ოფიცისის მოამბე“ რჩევას იძლევა, კარგი იქნებოდა, რომ ტყუილად ყოფნასა და უსაქმობთ რჩენას, რომ მთავრობამ რაიმე საქმეში გამოიყენოს ისინო, ესთქვათ გზების კეთებაში.

ერთი დაბრკოლება აქვს ამ რჩევის სისრულეში მოყვანას: ის რომ ამ მუშა დატუსაღებულ ოსმალოს სალდათებს იმდენი ყარაულები მოუნდება, რომ თვითონ იმ ყარაულებს შეუძლიანთ ამათი საქმის გაკეთება; უამისოთ, რალა თქმა უნდა, ყველანი გაიქცვიან...

* * * ამ დღეებში გამოვა ჩვენს ქალაქში ერთი პატარა ქართული წიგნი, სახელად „სალამური“, ანუ ლექსთა კრება საუკეთესო ქართველ მწერალთა, რომელშიაც, სხვათა შორის, იქნება თ. ნ. ბართაშვილის, აკაკის, ილ. შავჭავაძის და სხვების ლექსები.

— ზანა თქვენ არ მიგიღიათ ჩემი ბარათი? წაიხურჩულა მან.

— თქვენი ბარათი! თქვენ გგონიათ, ლიუბა ალექსანდროვნა, რომ ჩემთან აგრე დაუსჯელათ შეგიძლიანთ ხუმრობა! შეგიძლიანთ გადამეხვიოთ, მაშინ როცა მე არაფერს მიზეზს გაძლევთ, და როდესაც ჰხედავთ, რომ არ გამამხილეთ მთელს ინსტიტუტში, ისარგებლეთ ჩემის ზრდილობით და ხელ-ახლათ გამაბით მახეში, რომ არ გყავდათ უკეთესი საქმრო, და ესლა მიპირებთ ქორწილის წინათ კიდევ გამასულელოთ? ღა თქვენ ჰფიქრობთ, მოწყალეო ხელმწიფე, რომ პალონ მარკოვიჩი აიტანს ამდენს შეურაცხყოფას როგორც პირუტყვი?!

ხმა-მალა სიცილმა გამაწყვეტინა ლაპარაკი. ხარტონოვისა გასწორდა, გაიკეთა სათვალეები და უსირცხვილოთ მათვლიერებდა თავით-ფეხამდე და ხარხარობდა რაც ღონე ჰქონდა.

უსხო ქვეყნები

საზრანგეთი

უფრო დაწვრილებული ამბავი არის ახლა გაზეთებში დაბეჭდილი შესახებ 2 ლენინობისთვის საზოგადო კენჭის-ყრისა. როგორც ქვემო-მოყვანილი ცნობებიდან ჩანს, თუმცა ამ ამორჩევებში, მართალია, რესპუბლიკელებმა ვერ გაიყვანეს ყველა თავის 363 კანდიდატი, მაგრამ ზოგან ისეთს ალაგას გაიმარჯვეს, საცა ადრე მულამ კონსერვატორებს არჩევდნენ ხოლმე და ამას გარდა ყველაზე უფრო შესანიშნავი ის არის, რომ წელს რესპუბლიკელ კანდიდატებს ბევრათ უფრო მომეტებული თეთრი კენჭი მიუღიათ, ვინემ 1876 წლის კენჭის-ყრის დროსა. ამის დასამტკიცებლად შემდეგი ცნობები მოგვყავს:

ზამბეტამ 1876 წელს მიიღო 11, 589 თეთრი კენჭი, წლევანდელს კენჭის-ყრაში კი—13, 912, პასკალ ლიუბრამ შარშან 6,055, წელს 12,824, სპიულერმა შარშან 12,060 მიიღო და წელს 14, 550, ბაროდემ 8,930 შარშან, წელს 12, 570; ძლემანსომ შარშან 15, 204 წელს 18, 773, ლუი-ბლანმა 9,806, წელს, 12, 363; დანარჩენებმაც წრეულს დიდძალი კენჭით მომეტებული მიიღეს შარშანდელზე.

— პარიჟი ამ კენჭის-ყრის დღეს, რასაკვირველია, დიდს მღელვარებაში ყოფილა, აუარებული ხალხი დაიარებოდა ბულვარებზე და მოუთმენლად მოელოდნენ ამორჩევების შედეგის შეტყობასა. მთავრობას წინა დღით ჯარები დაუმზა-

— როგორ, ლიუბა! მს არის შენი საქმრო? ღაიძახა მან და ხელ-ახლათ გადინხარხარა.

ლიუბამ მიიფარა სახეზე ხელები და ტირილი დაიწყო.

— რაებს არ მოიფიქრებენ ეს ინსტიტუტები? ღაიწყო მან, რომ გაათავა სიცილი. ღავიჯერო, აგრე გაფუჭებული გქონდა შენ როდისმე გემოვნება?...

ის შეჩერდა, რა შემამჩნია, რომ მე მას უყურებ.

— რას მომჩერებინართ? ზაბრაზე-ბულმა დამიყვირა, მე თქვენ გკითხავთ, უფალო, რა ნება გაქვსთ, რომ შემომივარდიოთ სახლში და მასაჩუქრებთ აგეთის პატივისცემით! პრბატოვის ქალმა მოგწერათ ხომ უარი... მეტი რალა გინდათ-

(ზაგრძელება)



დებია, ვინც კობაძე არეულობა მოხდეს; მაგრამ მთელს ქალაქში უბრალო უწყესობაც არ მამხდარა.

— ზაზუნა „Temps“-ის სიტყვით, ახლად-ამორჩეული დეპუტატები ასე არიან განაწილებულნი სხვა-და-სხვა პარტიებ შორის:

— სულ ამორჩეულია 516 დეპუტატი; ამათში რესპუბლიკურ პარტიას ეკუთვნის—317 დეპუტატი, ბონაპარტიულს—99, ლეგიტიმისტებს—44 და ორლენანისტებს—11.

განცხადებანი

მასწავლებელს ჟალს ჰსურს აიყვანოს ყმაწვილები მოსამზადებლად პირველის და მეორის კლასისათვის.

ადრესი: შაჰმინდის ქუჩა, საბინ-ბუტისის სახლებში, № 13.

შოჩის სახლის ქვეშ გაღებულია საკამო სარდაში, რომელშიაც მსურველს შეუძლიან იყიდონ: რძე, ერბო, მაწონი და სხვა ყველაფერი, რაც რძისაგან წაწარმოებია.

(3-3)

ჭუთაისში, გუბერნიის ტაბორათაში იმაჟდება და ამ დღეებში გამოვა „სოლი თუ გინდა, ეს არის“!

ქრთ-მოქმედებანი ვოდველი ვას. აბაშიძისა.

(3-3)

ქართული სახალხო სიძვერები

შეკრებილი და გამოცემული შ.კ. ჰიჭინაძისაგან.

წიგნი პირველი. უასი ყველგან ერთი შაურა

ლოქოტი ა. ს. განუბოვი

გადავიდა სოლოლაკის ჟაჟაჟი, თ. მელიძის სახლში, კვირარაობით და სუთნაბათობით, დილის 9 საათიდან მიღწამ 11 საათამდე, უფასოდ მიიღებს ღარიბ ავადმყოფებსა.

ყოველ დღე, დილის 9 საათიდან მიღწამ 10-მდე, ვალდებუბრის კნევაბათური მაჟინის შემოგობით, სწავლობს ავადმყოფებს, რომელთაც გული სტიჟვათ; ღარიბი ავადმყოფები ამ მაჟინით მუქთად ისარგებლებენ. (3-1)

ქავკასიის განყოფილება „გოლოს“-ის რედაქციისა და კანტორისა

(თფილისში, ბოლოვინის პროსპექტი, ანტონოვის სახლები) იღებს

ა). სტატიებს, კორექსორდინებებსა და ტალეგრაფიულ სოგებას შესანიშნავს აწყო შემთხვევებზედ,

ბ). ხელის-მოწმებს განუბოვის „გოლოს“-ზე ყოველგვარის ვადითა და

გ). ჰოველგვარ სახაჟინო და კამკო განცხადებათ საზოგადოთ გასაგებს ენებზედ.

განუბოვის „გოლოს“-ის ცალკე №. № (ეგზემპლარი ორ შაურად) ისჟიღება:

ა). თფილისში:

I და II განყოფილებაში უფ. ბ. ი. ახნაშროვის მალაზიებში (ბოლოვინის პროსპექტი, მდივანის სახლება) და გრიჟსროჟთან (Кавказская Книжная Торговля) — წიგნის მალაზიებში.

ბ). ჟუთაისში — სპ. რომანიქსთან (ტაბორათაში)

გ). ვლადიკავკაჟში — უფ. ვილოსანთან.

ამას გარდა განყოფილება მოიწვევს კომისიონერებს ქავკასიის აჟეთა და იჟითა მხრის ადგილებში განუბოვის „გოლოს“-ის ცალკე №. № გაჟიღებსველად.

გაკვეთილები რეტეილის და პრაქტიკულის გუბერნიისა

ანუ იტალიურისა, ბანკის, ფაბრიკის, საევაგრო, კომისიურის და აგრეთვე სავაჭრო არითმეტიკისა.

ადრესი: ლაპორატორიის ქუჩა, ნამეტნიკის ბაღის პირ-და-პირ, პაროვის სახლებში, № 14.

პეტეი მიქვა გამოუცხადო თფილისის საზოგადოებას, რომ მე ვაკეთებ საუკეთესო შავსა და ფერად-ფერად მელანს და აგრეთვე ყვიდი წაღებისა და ეკიბაჟების ბორბლებისათვის ისეთს მელანს რომ წყალი ვერ გაატანს. მითს ბოთლს მელანს ყვიდი, უბოთლოთ 50 კაპ, ბოთლიანათ 60 კაპ. მსურველს შეუძლია ამ ადრესით მიმართოს: პაროვის ქარვასლაში, № 85 სტეჟან სუდალოვი

რკ. გზა.	დილა.	საღამუ.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მ. კაპ	გინჟა	მან. კაპ	გაჟანდა	მან. კაპ
თფილისი	9 21	5 18			მ.ცი სიტყვა თფილისიდან:		პეტერბურგი, 9 ლვინობ.		თფილისი, 12 ლვინობ.	
მცხეთა	10 11	6 27	68	38	ჭუთაისს, შოთს	1			შქვ. თეთ. ბანჯისა, ფთ.	190
ბორი	11 58	9 43	2 40	1 23	ბორს, ლუშეთს, სიღნაღს	50	ქრთი კანეთი ღირს:		შქვილი წითელი.	145
ხაშური	1 29	11 57	3 92	2 18	როსტოვს, მდესას, მოსკოვს	2	ლონდონში (24 პენსი.	78	ჭერი ფუთი.	125
სურამი	1 44		4 42	2 46	პეტერბურგს, შარშავას	2	პარიჟში 250 ანტინი.	81	ბაზა პრევისა, ფუთი.	820
შვირილა	5 49		5 81	3 23	მსმალეთში, შეიქარიაში	3	მსკონტი(სარგებლისუხსი)	7 1/2	— ამერიკისა, ფუთი.	850
რიონი	6 47		6 75	3 75	იტალიაში და საფრანგეთში.	3 50	ბანკის ბილეტი 5%	94 50	გაპენტილი ბაზა ფთ.	950
სამტრედია	7 41		7 73	4 29	ინგლისში	3 75	მოგებიანი(პირველისუხსი)	207 25	მატელი თუშური ფთ.	7
ახ.-სენაკი	—		8 57	4 76	უოგბათ		მოგებიანი (მეორე სესხი)	202 50	— მარაჟმისა ფთ.	350
ფოთი	9 40		9 75	5 42	ა) თფილისიდან: სამხლვარ გრეთ, მუთისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გრდა. ზუგდ. ორშ. და სამშ.		ბირაოს ფურცლები:		პბრეშუმი ნუხური სტ.	3
					ბ) ჟუთაისიდან:		თფილ. საზნ. ბანკისა.		მონი, ფუთი.	580
					მსმალეთს — პარასკ. და ორშ. ძანეთს — სამშ. და შაბ.		ხერსონის ბანკის (5%)	85 25	მონის სანთელი ფუთი.	8
					მსმალეთს — პარასკ. და ორშ. ძანეთს — სამშ. და შაბ.		მოსკოვის (5%)	85 50	სტეარინის სანთელი, ფ.	12 4
					მთფილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გრდა. მსმალეთს — ორშ. და პარასკ.		აქციებნი:		ხორცი ძროხისა, ლიტ.	54
					წიგნის გაგზავნარუსეთში და სამხლვარ გარეთ:		მდესის საევაგრო ბანკის	177	— ეგერისა, ლიტრა	63
					ღია წიგნის	4	ფოთი-თფილ. რკინ. გზის		სპირტი, გრადუსი	12
					დ. ბეკელიძის (საზი მისხალი).	8	შაჟი ზღვის ტყვ. გემურს	527	მაქარი, ბროც, ფუთი	820
							ქავკაზის და მერკურის	225	— ფინილი ფუთი	720
							პირვ. საზღვევ. საზ.	745 50	საყა გრვვალი, ფუთი	26
							პეტერბ. საზღვევ. საზ.	235 50	ხთი ქუზუთისა ფუთი	12
							მოსკოვის საზღვევ. საზ.	268	მკობი მკმპერიალი.	828